ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 06 მარტის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 06 მარტის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №6

დ. ხარაგაული

06 მარტი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

გივი თხელიძე საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“ -ს თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ -ს თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია :თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ ძალა ერთობაშია““ თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქეთევან ზუმბაძე - ფრაქცია „ ძალა ერთობაშია“ -ს თავმჯდომარის მოადგილე,

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი, სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამუნა მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შემდეგი ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზვარეში მდებარე 87 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.1836.206). პირდაპირი განკარგვის, წესით სასყიდლით იჯარის ფორმით ორი წლის ვადით შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალზე" (ს/კ 404385385) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე ყოფილი წყალსადენის ტერიტორიაზე (ს/კ 36.01.31.182), 14 465 კვმ. მიწის ფართობიდან 4435 კვმ მიწის ფართობის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბიუროს სხდომის დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხ

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზვარეში მდებარე 87 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.1836.206). პირდაპირი განკარგვის, წესით სასყიდლით იჯარის ფორმით ორი წლის ვადით შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალზე" (ს/კ 404385385) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ, მან აღნიშნა, რომ ზვარესთან დაკავშირებით იყო შეკითხვები, რამდენადაც მაქვს ინფორმაცია კომისიის მიერ ადგილზე მისვლით შესწავლილი იქნა საკითხი და კითხვები მოიხსნა,

აზრი გამოთქვეს:

მ.ფხალაძემ საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის იყო ადგილზე ასული უსაფრთხოების ზომები მიღებულია და ბავშვებისათვის ტრანსფორმატორის დადგმა საფრთხეს არ წარმოადგენს, შევხვდი და ვესაუბრე, როგორც პედაგოგებს ისე მოსახლეობას და წინააღმდეგი არ არიან კითხვები მოხსნილია და საკითხი გადაწყვეტას ექვემდებარება,

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 09 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე ყოფილი წყალსადენის ტერიტორიაზე (ს/კ 36.01.31.182), 14 465 კვმ. მიწის ფართობიდან 4435 კვმ მიწის ფართობის სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

ი.კელენჯერიძემ, მან აღნიშნა, რომ ყოფილი წყალსადენის ტერიტორიაზე ის ფლობს სამთო მინაკუთვნს და თუ ეს ტერიტორია, რომელიც უნდა გადაეცეს სახელმწიფოს მდებარეობს მის სამთო მინაკუთვნზე ის წინააღმდეგი ვიქნები ველოდები სამუშაო ჯგუფის დასკვნას,

ჯ. ბერაძემ განმარტა, რომ საჯარო რეესტრიდან მიღებულ ამონაწერში არ ფიქსირდება ჩვენს მიერ საკუთრებაში დარეგისტრირებულ ტერიტორიაზე ვინმეს საკუთრება და მითუმეტეს არანაირი ლიცენზია არ ყოფილა.

მ. ფხალაძემ დასვა შეკითხვა რა ვადით გადაეცემა სახელმწიფოს

ჯ. ბერაძემ უპასუხა, რომ უვადოდ უნდა გადავცეთ ამისათვის სახელმწიფომ მუნიციპალიტეტს უნდა მიმართოს დასაბუთებული წერილით, სამწუხაროდ დრეს მქონდა საუბარი ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოსთან და რადგან არ მაქვს იმედი, რომ ეს მოთხოვნა 9 მარტისათვის მოესწრება საკითხი გადავიტანოთ შემდგომი სხდომისთვის.

პ. გოგოლაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობის 24 საათიან წყალმომარაგებაში არსებულ პრობლემას მერი გვაბრალებს საკრებულოს, მე მომხრე ვიქნები საკითხის იმგვარად გადაწყვეტის როგორს ეს უნდა ხალხს.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ საკითხის გადაწყვეტა აუცილებელია დროულად და კიდევ ერთხელ ნუ მივცემთ შესაძლებლობას ხელი გამოიშვიროს ჩვენკენ

სხდომის თავმჯდომარემ იმის გამო, რომ საკითხი წარმოდგენილია გარკვეული ხარვეზებით არ იქნეს განხილული 9 მარტის რიგგარეშე სხდომაზე და გადატანილი იქნეს მომდევნო სხდომისთვის, სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში საკრებულო არ შექმნის პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 09 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში არ შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი არ იქნა შეტანილ საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. 9 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იქნეს 2020 წლის 02 მარტის დღის წესრიგით გათვალისწინებული და განუხილავი შემდეგი საკითხები:

ა) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

ბ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N 50/62 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

გ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

დ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

2. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.(თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზვარეში მდებარე 87 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.1836.206). პირდაპირი განკარგვის, წესით სასყიდლით იჯარის ფორმით ორი წლის ვადით შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალზე“ (ს/კ 404385385) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

3 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N 50/62 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის“ ერთი თვით ვადის გაგრძელების შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე